

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ეროვნული სასწავლო გეგმების მიღწევაზე ორიენტირებული მცირე ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება შემდეგ პრიორიტეტებთან:

ა) სკოლების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა

ბ) მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა

- > სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის განახლების ხელშეწყობა;
- > სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა;

გ) საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა

- საქართველოს სასკოლო/ეროვნული გუნდების იმ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის ხელშეწყობა, რომლებსაც აქვთ არანაკლებ ბოლო 5 წლის გამოცდილება.

დ) საგანმანათლებლო და პროფესიული ორიენტაციის (IX-XII კლასის მოსწავლეებისთვის) ექსკურსიების მხარდაჭერა (საზღვრისპირა, მათ შორის ადმინისტრაციული საზღვრისპირა, მაღალმთიანი რაიონების, მცირეკონტინგენტის და არაქართულენოვანი საჯარო სკოლებისთვის).

ე) ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა

ვ) მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

- სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მოსწავლეებისა და მასწავლებლების (ორი და/ან მეტი სკოლის) ჩართულობის მხარდაჭერა.

ზ) არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენციაზე ორიენტირებული აქტივობების მხარდაჭერა.

თ) ევროინტეგრაციის ხელშეწყობი აქტივობების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტების წარმოდგენისა და განხილვის ეტაპები

პროექტების წარმოდგენა

- პროექტის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირების მიერ სამინისტროსათვის წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი.
- დაფინანსების მოპოვების მიზნით, დაინტერესებულმა პირებმა პროექტი (განაცხადი) უნდა წარმოადგინონ მინისტრის ბრძანებით დადგენილი ფორმით შესაბამის ვადაში.
- პროექტის წარმოდგენაზე უფლებამოსილია ნებისმიერი იურიდიული პირი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების გარდა, სხვა იურიდიულ პირებს პროექტის განსახორციელებლად შესაძლებლობა აქვთ სამინისტროსგან მიიღონ მხოლოდ პროექტის თანადაფინანსებისთვის საჭირო თანხა. სამინისტროს მხრიდან გაცემული თანადაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 50%.

პროექტების განხილვა

დაფინანსების მოთხოვნით შემოსული პროექტების (განაცხადების) განხილვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (შემდეგში - მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (შემდეგში - ბრძანება) ქმნის სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის ფარგლებში პროექტების განხილველ კომისიას (შემდეგში - კომისია).

კომისია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს სამინისტროში ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტებს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) რეკომენდაცია მინისტრისთვის პროექტის დაფინანსების შესახებ,

ბ) პროექტის დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ,

გ) რეკომენდაცია პროექტის წარმომდგენისთვის პროექტის კორექტირების შესახებ.

პროექტებზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისია უფლებამოსილია პროექტის შესახებ რეცენზიები გამოითხოვოს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს და მოუსმინოს შესაბამისი დარგის სპეციალისტს.

კომისია თავის გადაწყვეტილებას იღებს პროექტში (განაცხადში) მითითებული ინფორმაციის, მისი შეფასების და ქვეპროგრამის სტრატეგიულ მიზანთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

პროექტში (განაცხადში) მითითებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია პროექტის წარმომდგენი.

კომისია უფლებამოსილია ქვეპროგრამის სტრატეგიულ მიზანთან შესაბამისობის გაუმჯობესების მიზნით, პროექტის წარმოდგენს მისცეს რეკომენდაციები. რეკომენდაცია გაიგზავნება წერილობითი ფორმით, მათ შორის პროექტის განაცხადის ფორმაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. **კორექტირებული პროექტის წარმოდგენა უნდა მოხდეს ელექტრონული ფოსტის გაგზავნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.** რეკომენდაციის გათვალისწინება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია შეწყვიტოს პროექტის შემდგომი განხილვა. პროექტის ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცივმა არაუმეტეს ორჯერ.

კომისია უფლებამოსილია პროექტის დაფინანსების შესახებ რეკომენდაციის გაცემაზე უარი თქვას შემდეგი გარემოებების არსებობისას:

1. განაცხადი წარმოდგენილია ხარვეზით (არ არის შევსებული სათანადო წესით, თანდართული დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულად, წარმოდგენილია მინისტრის მიერ დადგენილი ვადისაგან განსხვავებულ დროს);
2. პროექტის მიზანი არ არის შესაბამისობაში ქვეპროგრამის პრიორიტეტებთან;
3. გამოკვეთილი არ არის ლოგიკური ბმა იდენტიფიცირებულ პრობლემას, მიზანს, ამოცანას და განხორციელების გზებს შორის;
4. არ ირკვევა ან ბუნდოვანია პროექტის მოსალოდნელი შედეგები და მათი ეფექტურობა;
5. არ ირკვევა ან ბუნდოვანია დაგეგმილი აქტივობების რელევანტურობა;
6. არ ირკვევა ან ბუნდოვანია მოსალოდნელი შედეგების ან აქტივობების განსაზღვრულ ვადებში შესრულების რეალურობა.
7. პროექტი შედგენილია არარელევანტური (აქტივობა/აქტივობები) ბიუჯეტით;
8. პროექტის ბიუჯეტით მოთხოვნილია ტექნიკის, ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვა;
9. პროექტის ბიუჯეტით მოთხოვნილია სამივლინებო (დღიური) ხარჯის დაფინანსება;
10. შეიცავს დაფინანსების მოთხოვნას პროექტის განხორციელებასთან ირიბად დაკავშირებულ, დამხმარე ხასიათის საჭიროებებზე: სხვა აქტივობები, ტექნიკა, ავეჯი, საკომუნიკაციო და ადამიანური რესურსები, ტრენინგები/სასწავლო კურსები და სხვა;
11. ითვალისწინებს ბენეფიციართა თანადაფინანსების საჭიროებას;
12. პროექტის აქტივობები არათანაბარ პირობებს უქმნიან ბენეფიციარებს ან იკვეთება დისკრიმინაციული საფრთხის შემცველი რისკები;
13. პროექტი ორიენტირებულია ფინანსური მოგების მიღებაზე;
14. პროექტი არსებითად არ განსხვავდება იმ პროექტების/ღონისძიებების/აქტივობებისაგან/პროგრამებისგან, რომლებსაც ახორციელებს რომელიმე სამინისტრო, მათ შორის საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

15. პროექტი ეფუძნება ვარაუდებს, არ შეიცავს განხორციელების/შეუფერხებელი განხორციელების რეალურ გარანტიებს;
16. პროექტის მიზანი და ამოცანები შედის სამინისტროს სისტემის პირდაპირ კომპეტენციაში;
17. პრობლემა იდენტიფიცირებულია/სიტუაციური ანალიზი განხორციელებულია არასწორად;
18. პროექტის განხორციელების ამოცანები არ არის წარმოდგენილი ბენეფიციართა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების და უფლებების გათვალისწინებით;
19. პროექტის შედეგი არ არის გაზომვადი და თვალსაჩინო;
20. შეუძლებელია პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგი და შედეგების შეფასება;
21. პროექტი არ მოიცავს პრობლემის იდენტიფიცირებასა და დაგეგმვას კომპლექსურად, ყველა რეალური საჭიროებების გათვალისწინებით;
22. საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გაირკვევა, რომ პროექტი ეფუძნება ყალბ ინფორმაციას/დოკუმენტს;
23. სხვა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც გამორიცხავს პროექტის დაფინანსების მიზანშეწონილობას.

საბოლოო გადაწყვეტილება

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, რომელიც გამოსცემს ბრძანებას პროექტის/პროექტების დაფინანსების შესახებ. აღნიშნული ბრძანების დაფუძველზე, პროექტის წარმომდგენს უფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.